ახალგაზრდობის თანხმობის აქტი

საქართველო, როგორც მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობის მქონე ქვეყანა, მრავალი საუკუნეა ევროპული ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად განიხილება. ის თავისი განვითარების გზაზე არაერთ გამოწვევას გაუმკლავდა და მაინც მოახერხა შეენარჩუნებინა მისწრაფებები, რომლებსაც მისი ევროპული იდენტობა განაპირობებდა. ისეთი გარდამტეხი მოვლენების გააზრება, როგორებიცაა პირველი რესპუბლიკის დაარსება 1918 წლის 26 მაისს, ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის შენარჩუნება 1978 წლის 14 აპრილს, 1989 წლის 9 აპრილს გამოჩენილი თავგანწირვა და 1991 წლის 31 მარტის დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმი, გვახსენებს პასუხისმგებლობას ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე და გვიბიძგებს გადავდგათ ნაბიჯი თანხმობისკენ, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს ევროპული გზის გასაგრძელებლად.

ისტორიული ქარტეხილებით აღსავსე დამოუკიდებლობის ბოლო სამ ათეულ წელს მუდმივად თან ახლდა ურთიერთდაპირისპირების რადიკალური ფორმები, უნდობლობა, შეუწყნარებლობა და უკომპრომისობა, რაც გაკვეთილია ჩვენი თაობისთვის. და ახლა, ქვეყნის განვითარების გადამწყვეტ ეტაპზე, მიუხედავად ჩვენი განსხვავებული ხედვებისა, ვდგამთ ერთმანეთისაკენ მიმავალ ნაბიჯებს და ვთანხმდებით იმ ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებზე, რამაც ქართული სახელმწიფოებრიობის ხვალინდელი დღე უნდა განსაზღვროს.

საკუთარი თავის ევროპული ოჯახის ნაწილად აღიარებით, ახალგაზრდები ვიზიარებთ საერთო ღირებულებებს, პრინციპებსა და მიზნებს, რომლებიც დასავლურ ცივილიზაციას ახასიათებს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია თანამშრომლობის, ეკონომიკური განვითარებისა და კულტურული გაცვლისთვის არაერთ დახურულ კარს ხსნის, რაც ეროვნულ იდენტობას კიდევ უფრო ამდიდრებს. გამომდინარე აქედან, მხარს ვუჭერთ საქართველოს სრულფასოვან ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას.

ტოლერანტობის ტრადიცია საქართველოში სათავეს უხსოვარი დროიდან იღებს. სწორედ ამ ტრადიციაზე დაყრდნობით, ვთანხმდებით რომ თანასწორუფლებიანობა და ყოვლისმომცველი ჩართულობა ჩვენი უპირობო პრიორიტეტია.

ვთანხმდებით, რომ დემოკრატია, კანონის უზენაესობის დაცვა და ანგარიშვალდებულება არის გზა, რომლითაც სტაბილურობასა და კეთილდღეობას მივაღწევთ.

ვთანხმდებით, რომ ხარისხიანი და ინკლუზიური განათლებაა წინაპირობა თავისუფალი, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობის.

ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, ძალისხმევას არ დავიშურებთ წვლილი შევიტანოთ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში.

ვთანხმდებით რომ, ჩვენი კონსტიტუციური უფლება, სუფთა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების შესახებ უნდა იქნას დაცული და უპირობოდ აღსრულებული.

აქტზე ხელმომწერები ვაღიარებთ, რომ უთანხმოების მოსაგვარებლად დიალოგის გზა შეუცვლელია. მივიჩნევთ, რომ დიალოგი უზრუნველყოფს ჩართულობასა და მონაწილეობას, კონსენსუსის მიღწევას, რაც მყარ საფუძველს ქმნის საქართველოს ევროპული მომავლის ასაშენებლად.

ღრმად გვწამს, თანხმობის აქტის სახით გადადგმული ჩვენი ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული საზოგადოებისა და სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობას, რომელიც ღირსეულად დაიმკვიდრებს კუთვნილ ადგილს მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების გვერდით.

თბილისი, 26 მაისი 2023

Қырҭтәыла, аҭоурыхтә ҭынхатә абеара ду змоу атәыла еиҧш, ашәышықәсақәа рыла Европатә ацивилизациа иузаҟәымхуа ахәҭа еиҧш иааует. Уи ахатәы аҿиаратә амҩа аҟны иакымкәа ауадаҩрақәа аҧылеит, аха зегьы акоуп еиқәнархеит изқәылаз амҩа, ашьҭазаарақәа, уи ахатәы Европатә аидентра ақәҿиараз. Аҽыцсахратә ахҭысқәа реилкаара, раҧхьатәи ареспублика ашьақәыргылара 1918 шықәса, лаҵара 26 иҟалаз, ақырҭуа бызшәа аҳәынҭқарратә бызшәа еиҧш аиқәырхара 1978 шықәса, мшаҧы 14, 1989 шықәса, мшаҧы 9 иаарԥшыз ахамеигӡара, 1991 шықәса, хәажәкыра 31 ахьыԥшымра аиҭашьақәыргыларазтәи ареферендум, иаҳгәаланаршәоит атәыла иҳаҩсхьоу, иахьатәи, иааиуеи рзы аҭакԥхықәра ҳаԥхьоит иҳаргыларц ашьаҿа аиқәшаҳаҭраз, ҳәарада уи ахадара амоуп Қырҭтәыла Европатәи амҩа анагӡаразы.

Аҭоурыхтә аԥшатлакә ала иҭәу ахьыԥшымра аҭыхәтәантәа ҩажәижәаба шықәса ирыцын ҳара-ҳара ҳаиҿагыларақәа арадикалтә формақәа, агәреибамгара, агәымбылцьбара, акомпромисра змамз уи ҳара ҳабицаразы ицышәоуп. Уажәы атәыла аҿиараз ихадоу аетап аан, ҳарҭ еиуеиԥшым абаракәа шҳамоугьы, иҳаргылоит ҳара –ҳара ҳахь ҳназго ашьаҿа, ҳаиқәшаҳаҭхоит ихадоу апринципқәеи, акыр иаԥсоуи рзы , ақырҭуа аҳәынҭқарраз уаҵәтәи амш ҳәаақәызҵо.

Ҳара ҳхы ҳаԥхьаӡоит Европатә аҭаацәа ҳахәҭакны, аҿар иазхаҳҵоит иаҳзеиԥшу акыр иаҳзаԥсоуи, апринципқәеи, ахықәкырақәеи амраҭашәаратә ацивилизациа иҟазшьоу.

Ҳарҭ ибзианы еилаҳкааует, Европатә ақәыԥшылараҳь аинтеграциеи, аусеицуреи аекономикатә аҿиареи, акультуреи реиҭныԥсахларазы иакымкәа ашәқәа шаанартуа, уи амилаҭтә аидентра еиҳа иарбеиоит. Убри аҟнытә ҳара ҳадгылоит Қырҭтәыла зхаҭабзиара ҳраку Европатәи, Евроатлантикатә аинтеграциа.
Атолерантратә атрадициа Қырҭтәыла ахыҭхырҭа жәытәнатә аахыс иааует. Иара абри атрадициала ҳаиқәшаҳаҭхоит азеиԥш зинқәеи, зегьы ралархәреи ауп ҳара приоритетс иҳамоу.

Ҳаиқәшаҳаҭуп, адемократиа, азакәан аҳракыра ахьчара, аҭакԥхықәра уи амҩала аҭышәынтәалареи, абзазареи ҳрызнеиуеит.

Ҳаиқәшаҳаҭуп ахақәитреи, аинклузивтә ҵареи роуп зхы иақәиҭу, игәҕәоу атәылауааратә жәлари, аҳәынҭқарра аҟазаара. Ҳара ҳалшарақәа ирышьашәыло, ҳхы ҳамеигӡа иалаҳҵоит ҳара ҳахәҭа аиҿагыларақәа аҭынч мҩала аиҿкаараз, атәыла аҭакырадгьыл аиҭашьақәыргылара аус азы.

Ҳаиқәшаҳаҭуп, ҳара ҳконституциатә азакәан ала, ицқьоу, изҩыдоу ақәыԥшыраҿ анхара азын ихьчаза уи хамԥада инагӡазар ауп.

Акҭ знапы аҭазыҩз иазхаҳҵоит, аилибамкаара аиқәыршәараз, аиҿацәажәаратә амҩа ԥсахра амаӡам. Иҳаԥхьаӡоит аиҿацәажәара аиқәыршәареи, алахәреи аконсенсус азнеиреи, уи ишьақәыргәгәоу аҭаҭгәы ҟанаҭоит, Қырҭтәыла Европа аԥеиԥш аргыларақәы.

Иҭаауло агәра гара ҳамоуп, аиқәшаҳаҭра акҭ ала иргылоу ари ҳара ҳшьаҿа иацхраауеит, ҳара-ҳара патуеиқәҭарала ишьақәыргылоу ауаажәларреи, ихьԥшым аҳәынҭқарра аргылареи, уи ииааннакылоит зыԥсоу, иахәҭоу аҭыԥ адунеи ацивилизациатә тәылақәа рган аҟны.